



**პროექტი: "იჩქარე! ადამიანის უფლებები და ევროპელი ახალგაზრდობა!"  
ევროპელი ახალგაზრდობის სემინარი, 2010 წლის 2-7 ნოემბერი**

2010 წლის 4 ნოემბერს, ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის 60 წლის იუბილე გაიმართა, რომელსაც ქალაქი სტრასბურგი მასპინძლობდა.

ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებზე 60 წლის წინ სულ სხვა კონტექსტში შეიქმნა. დღესდღეობით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სასამართლოს მუშაობის გამჭვირვალობა, არამედ ახალგაზრდა თაობასთან დიალოგი თავიანთ უფლებებსა და მოლოდინებზე. გარკვევა იმისა, თუ როგორ შეუძლიათ მათ აქტიური როლი შეასრულონ ადამიანის უფლებების ხელშეწყობაში ადგილობრივ დონეზე.

პროექტში **"იჩქარე! ადამიანის უფლებები და ევროპელი ახალგაზრდობა"** მონაწილეობას ღებულობდა საქართველო და 7 ევროპული სახელმწიფო: საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი, ლატვია.

შეხვედრის მთავარი თემა იყო ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის 60 წლის იუბილე, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ახალგაზრდული ქსელისა და ევროპული დემოკრატიის ურთიერთთანამშრომლობა.

პროექტის პარტნიორები იყვნენ:

- ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (საქართველო)
- ქ. სტრასბურგი და ახალგაზრდული ექსპრესს ქსელი (საფრანგეთი)
- ქ. დრეზდენის ასოციაცია (გერმანია)
- ქ. ბუდაპეშტი (უნგრეთი)
- ქ. რიუზის ახალგაზრდული ცენტრი და ქ. სტარა ზაგორა (ბულგარეთი)
- ქ. ტიმიშოარა (რუმინეთი)
- ქ. კატოვიცე (პოლონეთი)
- ქ. რიგა (ლატვია)

ღონისძიების მთავარი თემა იყო ადამიანის უფლებები და ახალგაზრდობა, რომელიც გაიმართა ქ. სტრასბურგში და მიეძღვნა ევროპული კონვენციის 60 წლის იუბილეს.

**ამოცანები:**

- მონაწილეთა ცნობიერების ღონის ამადლება, როგორც ადამიანის უფლებებზე, ასევე დემოკრატიის, როგორც ევროპული იდენტურობისა და მოქალაქეობის მთავარი ფასეულობა;
- ადამიანის უფლებების სფეროში განათლების ღონის ამადლება;
- ევროპული ინსტიტუციების შესახებ ცოდნის გაუმჯობესება;
- ახალგაზრდობის გააქტიურება ადგილობრივ და ევროპულ დონეზე. მცირე შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ჩართულობა; დიალოგი ახალგაზრდებსა და არჩეულ წარმომადგენლობას შორის;
- მოხალისეობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;
- კულტურული მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის ხელშეწყობა.